საინფორმაციო ფურცელი - შეთავაზება

1. **მზღვეველი:** სააქციო საზოგადოება - სს «სადაზღვევო კომპანია ალდაგი»;
2. **დაზღვევის ხელშეკრულების სახე:** პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების დაზღვევა;
3. **დაზღვეული რისკის აღწერილობა/სადაზღვევო დაფარვის პირობები:**
   პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობა/პასპორტი) დაკარგვის, მოპარვის, ძარცვის, ყაჩაღობის ან გარეგანი ზემოქმედების შედეგად დაზიანების შემთხვევებში, სადაზღვევო პრემიის სრულად გადახდის სანაცვლოდ, მზღვეველი სააგენტოს გადაურიცხავს დოკუმენტის ღირებულებას, რომელიც არ აღემატება სადაზღვევო ბარათში მითითებულ სადაზღვევო თანხას, რის საფუძველზეც სააგენტო დამზღვევზე გასცემს ახალ დოკუმენტს, თანახმად დაზღვევის პირობებისა.
4. **დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის გარდა სხვა ფინანსური ხარჯის გაწევის წინაპირობები, ოდენობა და წესი -** არ არის გათვალისწინებული
5. **ფრანშიზის სახე, ოდენობა და გამოყენების წინაპირობები**
   ფრანშიზა არის თანხა, რომელიც არ ექვემდებარება **მზღვეველის** მიერ ანაზღაურებას და რომელიც აკლდება ზარალის თანხის ოდენობას და რომელზეც **მზღვეველი** არ არის პასუხისმგებელი.
   ფრანშიზა – ასეთის არსებობის შემთხვევაში - **განისაზღვრება სადაზღვევო პოლისში**.
   ფრანშიზა შეიძლება იყოს: **პირობითი** – თანხობრივად გამოხატული პირობითი ზღვარი. თუ ზარალი ამ პირობით ზღვარზე ნაკლებია ან მისი ტოლია, **მზღვეველი** მას არ აანაზღაურებს. თუ ზარალი აღემატება ამ პირობით ზღვარს, **მზღვეველი** აანაზღაურებს ზარალის მთლიან ოდენობას;
   უპირობო – ის მინიმალური თანხა, რომელიც ყოველთვის გამოაკლდება მთლიანი ზარალის ოდენობას;
   თუ **პოლისში ფრანშიზის** ტიპი არ არის მითითებული, გამოიყენება **უპირობო ფრანშიზა;**
   ფრანშიზა შესაძლოა განისაზღვროს როგორც ყველა, ისე ცალკეული სახის ზიანისათვის სხვადასხვა მოცულობით და მიეთითოს პოლისში.

6. **დაზღვევის ხელშეკრულების საგამონაკლისო პირობები**
   მზღვეველი არ ანაზღაურებს დაზიანებას ან ზარალს, გამოწვეულს შემდეგი გარემოებებით:
   ა) სახელის ან გვარის შეცვლის დროს, ასევე, თუ დოკუმენტს აღენიშნება ხარვეზი, რომელიც არ უშლის ხელს დოკუმენტში ინფორმაციის წაკითხვას და ვიზუალური დათვალიერებით დოკუმენტი შეესაბამება „საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული პასპორტის, საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული დიპლომატიური პასპორტის, საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული სამსახურებრივი პასპორტის, საქართველოში

მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის ბიომეტრიული სამგზავრო პასპორტისა და ლტოლვილის ბიომეტრიული სამგზავრო დოკუმენტის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 5 ოქტომბრის №194 და „საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მოწმობისა და საქართველოში მცხოვრები უცხოელის ბინადრობის ელექტრონული მოწმობის (დროებითი და მუდმივი) ფორმებისა და ტექნიკური მახასიათებლების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 14 ივლისის №91 ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ბ) ჩანაწერში უზუსტობის დადგენისას, ასევე, თუ დოკუმენტს აღენიშნება ხარვეზი, რომელიც არ უშლის ხელს დოკუმენტში ინფორმაციის წაკითხვას და ვიზუალური დათვალიერებით დოკუმენტი შეესაბამება „საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული პასპორტის, საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული დიპლომატიური პასპორტის, საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული სამსახურებრივი პასპორტის, საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის ბიომეტრიული სამგზავრო პასპორტისა და ლტოლვილის ბიომეტრიული სამგზავრო დოკუმენტის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 5 ოქტომბრის №194 და „საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მოწმობისა და საქართველოში მცხოვრები უცხოელის ბინადრობის ელექტრონული მოწმობის (დროებითი და მუდმივი) ფორმებისა და ტექნიკური მახასიათებლების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 14 ივლისის №91 ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

გ) ვიზებისთვის განსაზღვრული ფურცლების გახარჯვისას;

დ) მოქალაქის პირადი განცხადების საფუძველზე პასპორტის გაუქმებისას;

ე) დოკუმენტის მოქმედების ვადის გასვლისას;

ვ) დოკუმენტის ცვეთისას – მოხმარების შედეგად დოკუმენტი ვიზუალურად აღარ შეესაბამება მის პირვანდელ სახეს და არ არსებობს დაზიანების ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნები, ამასთან ერთად, ვიზუალური დათვალიერებით დოკუმენტი შეესაბამება „საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული პასპორტის, საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული დიპლომატიური პასპორტის, საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული სამსახურებრივი პასპორტის, საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის ბიომეტრიული სამგზავრო პასპორტისა და ლტოლვილის ბიომეტრიული სამგზავრო დოკუმენტის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 5 ოქტომბრის №194 და „საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მოწმობისა და

საქართველოში მცხოვრები უცხოელის ბინადრობის ელექტრონული მოწმობის (დროებითი და მუდმივი) ფორმებისა და ტექნიკური მახასიათებლების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 14 ივლისის №91 ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

ზ) დოკუმენტს აღენიშნება ისეთი ხარვეზი, რომელიც არ უშლის ხელს დოკუმენტში ინფორმაციის წაკითხვას და ვიზუალური დათვალიერებით დოკუმენტი შეესაბამება „საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული პასპორტის, საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული დიპლომატიური პასპორტის, საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული სამსახურებრივი პასპორტის, საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის ბიომეტრიული სამგზავრო პასპორტისა და ლტოლვილის ბიომეტრიული სამგზავრო დოკუმენტის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 5 ოქტომბრის №194 და „საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მოწმობისა და საქართველოში მცხოვრები უცხოელის ბინადრობის ელექტრონული მოწმობის (დროებითი და მუდმივი) ფორმებისა და ტექნიკური მახასიათებლების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 14 ივლისის №91 ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

თ) პინკოდის აღდგენის მიზნით;

ი) ნებისმიერი დაზღვევამდე არსებული მიზეზით;

კ) დამზღვევის განზრახ ქმედებით ან უხეში გაუფრთხილებლობით;

ლ) სააგენტოს მიერ დოკუმენტის დამზადებისას/გაცემისას დაშვებული ხარვეზების გამოსწორებით.

7. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველისთვის შეტყობინების გაგზავნის, მოთხოვნის წარდგენის, სადაზღვევო შემთხვევის რეგულირების და სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ფორმა და ვადები:

3.1. როგორ უნდა მოვიქცეთ სადაზღვევო შემთხვევის დროს?
ზემოთ ჩამოთვლილ რისკთაგან ერთ-ერთის დადგომისას ახალი დოკუმენტის მისაღებად განაცხადის წარდგენას დამზღვევი შეძლებს სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში, საზოგადოებრივ ცენტრებში, ექსპრეს საზოგადოებრივ ცენტრებსა და სსიპ - იუსტიციის სახლის ფილიალებში

3.2 დამზღვევი ვალდებულია სადაზღვევო შემთხევვის დადგომიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში წარადგინოს განცხადება წინამდებარე პირობებით დადგენილი წესით. განაცხადი ასევე უნდა მოიცავდეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის საფუძველს;

3.3 თუ ზარალი დამდგარია დოკუმენტის დაზიანებით, ზარალის შესახებ, დამზღვევმა, განაცხადთან ერთად ოპერატორს უნდა ჩააბაროს დაზიანებული დოკუმენტის დასკანერებული ასლი, რომელიც სააგენტოში

ელექტრონული მიმართვის გაგზავნის საფუძველზე, ხელმისაწვდომი იქნება სადაზღვევო კომპანიისთვის.

3.4 გარეგანი ზემოქმედება - დაზღვეულ დოკუმენტზე ისეთი გარეგანი ფაქტორების ზემოქმედება, რომლის შედეგადაც:

ა) შეცვლილია კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტის ფერი;

ბ) ნაწილობრივ ან სრულად დარღვეულია დოკუმენტის მთლიანობა;

გ) ნაწილობრივ ან სრულად არ იკითხება დოკუმენტში დაბეჭდილი მონაცემები;

დ) ვიზუალური დათვალიერებით, დოკუმენტი არ შეესაბამება „საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული პასპორტის, საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული დიპლომატიური პასპორტის, საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული სამსახურებრივი პასპორტის, საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის ბიომეტრიული სამგზავრო პასპორტისა და ლტოლვილის ბიომეტრიული სამგზავრო დოკუმენტის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 5 ოქტომბრის №194 და „საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მოწმობისა და საქართველოში მცხოვრები უცხოელის ბინადრობის ელექტრონული მოწმობის (დროებითი და მუდმივი) ფორმებისა და ტექნიკური მახასიათებლების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 14 ივლისის №91 ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

3.5 დამზღვევის მხრიდან ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევაში, ოპერატორი სადაზღვევო კომპანიის აწვდის აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას;

3.3 იმ შემთხვევაში, თუ ზარალის ანაზღაურების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ზარალი დამდგარი იყო სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურების გამონაკლისებით მოცემული გარემოებებით, და ამასთან სადაზღვევო ანაზღაურება უკვე გადახდილია მოსარგებლისათვის, ანაზღაურებული თანხა ექვემდებარება მზღვეველისთვის დაბრუნებას.

3.7 სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროისთვის, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების საფასურის კანონმდებლობით გაზრდის შემთხვევაში, სადაზღვევო თანხას ზემოთ დამზღვევი გაზრდილი საფასურის ღირებულებას თავად ამატებს;

წინამდებარე შეთავაზება წარმოადგენს არაამომწურავ ინფორმაციას დაზღვევის პირობების შესახებ და აღნიშნული დოკუმენტი არ არის დაზღვევის ხელშკრულების იდენტური ძალის მქონე
თქვენს მიერ წინამდებარე შეთავაზების გაცნობა და ჩვენს მიერ შეთავაზებასთან დაკავშირებით განმარტებების გაკეთება არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს და მოთხოვნებს თქვენსა და ჩვენს შორის